25/09/2026

MES 2 26 0001316279

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 11 სექტემბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85758107326
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ სულთანიშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

შორენა ალაგარდაშვილი
ნინო ქიტიაშვილი
ირმა ღარიბაშვილი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“

დირექტორი – მარიამ ტვილდიანი
იურისტი – ნინო გიორგაძე
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი – ინა ქვრივიშვილი
სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი – ქეთევან ნიორაძე
ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი – ნინო ბუაძე

სსიპ – კასპის კოლეჯი
დირექტორი – ოთარ დაბრუნდაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი – ნინო მაზმიშვილი
სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის კოორდინატორი – თამარ ბაინდურაშვილი,

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:02 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯისთვის“ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ – კასპის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
შუამდგომლობა წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო სსიპ კოლეჯ „იბერიის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 25 აგვისტოს №945066 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილების შედეგად დაწესებულებას უფლება ჰქონდა, პროგრამები შესაბამისობაში მოეყვანა ახალ მოთხოვნებთან, დონე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია უცვლელი დარჩა. დაწესებულებამ ცენტრში დადგენილი წესით წარადგინა პროგრამის პაკეტი და ცვლილების ბრძანება, რომლებიც სამსახურის მიერ იქნა შესწავლილი. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ ორ ლოკაციაზე – ქუთაისში (ანჯაფარიძის ქ. №61) და ბაღდათში (შოთა რუსთაველის ქ. №80) ხორციელდება, ხოლო კრედიტების მოცულობა ორივე მისამართზე იდენტურია და შეადგენს 66 კრედიტს ქართულენოვანი, ხოლო 81 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. მეორე პროგრამა – „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ხორციელდება მხოლოდ ქუთაისში და მისი კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია 55 კრედიტით ქართულენოვანი და 70 კრედიტით არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. სამივე შემთხვევაში პროგრამის განხორციელების ფორმა უცვლელია – იმიტირებული ფორმა.
ნანი დალაქიშვილმა ასევე დააზუსტა, რომ მართალია, სტანდარტით განსაზღვრული იყო გარკვეული მოდულების დიტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №143 ბრძანებით გათვალისწინებული რეგულაცია და ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფორმა.
აღინიშნა, რომ ცვლილება უნდ შევიდეს საბჭოს 2022 წლის 25 აგვისტოს №945066 გადაწყვეტილებაში, რაც მოიცავს მხოლოდ აღნიშნული პროგრამების პარამეტრების კორექტირებას, ხოლო დანართში მითითებული ყველა სხვა პროგრამა დარჩება უცვლელი. ნანი დალაქიშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ 16 სექტემბერს იხსნებოდა ანკეტა-კითხვარი, რის გამოც საბჭოს გადაწყვეტილების შედეგები ოპერატიულად გადაეგზავნებოდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS), რათა კოლეჯს შესაძლებლობა მისცემოდა, ანკეტა-კითხვარში პროგრამები უკვე განახლებული კრედიტებით დაეფიქსირებინა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯ იბერიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 25 აგვისტოს N945066 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯ იბერიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 25 აგვისტოს N945066 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „ელექტროობის“ (ქ. ქუთაისი, ქ. ბაღდათი) და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ (ქ. ქუთაისი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში. გადაწყვეტილების N945066 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 11 სექტემბერი.

მეორე შუამდგომლობა ეხებოდა შპს „პანაცეასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 24 აგვისტოს №1086119 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. ნანი დალაქიშვილმა, განმარტა, რომ გადაწყვეტილების ტექსტში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, დაწესებულების სრული სახელწოდება არის შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა“, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული იყო მხოლოდ შპს „პანაცეა“. მან აღნიშნა, რომ საიდენტიფიკაციო კოდი თავიდანვე სწორად იყო დაფიქსირებული, განაცხადი, ბრძანება და ექსპერტთა დასკვნა სრულ წესრიგშია და საქმე ეხება სწორედ იმ დაწესებულებას, რომელმაც წარმოადგინა განაცხადი. აქედან გამომდინარე, მან საბჭოს მიმართა თხოვნით, შეტანილიყო შესაბამისი ცვლილება გადაწყვეტილების სათაურსა და პირველ პუნქტში მითითებულ დასახელებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 24 აგვისტოს №1086119 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 – ე მუხლის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „შპს პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 24 აგვისტოს №1086119 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: *„შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ“.* გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: *„შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (ს/კ: 400023595) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“* **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 11 სექტემბერი.

საბჭოს წევრი, გიორგი ვეკუა, შემოუერთდა სხდომას.

პირველი საკითხი: შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯისთვის“ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა ალაგარდაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის“ მიერ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამატებასთან დაკავშირებით წარდგენილი განაცხადის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებისა და ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა, მისი თავმჯდომარეობითა და დარგობრივი ექსპერტის, ია გელენიძის შემადგენლობით, 2026 წლის 24 ივლისს განახორციელა საექსპერტო ვიზიტი დაწესებულებაში წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. შემოწმების ფარგლებს წარმოადგენდა ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული მიმართულებით გააჩნია ქართულენოვანი პროგრამის განხორციელების სათანადო გამოცდილება და ჩამოყალიბებული აქვს მჭიდრო ორმხრივი თანამშრომლობა პრაქტიკის ობიექტებთან, კერძოდ სამედიცინო კლინიკებთან. პროგრამის ინგლისურ ენაზე განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს შესაბამისი თანხმობა. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიეკუთვნება პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურს (სწავლის სფეროს კოდი – 0916), მოიცავს 180 კრედიტს, განხორციელების ფორმაა კოოპერაციული სწავლება, ხანგრძლივობა 3 წელი, ხოლო სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა შეადგენს 70-ს. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, წლიური სწავლის საფასური განსაზღვრულია 5300 აშშ დოლარის ოდენობით.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის დამატების დასაბუთებულობაზე, რაც გამყარებული იყო ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროების ოფიციალური კვლევებით, შრომის ბაზრის 2025 წლის მონაცემებითა და შიდა კვლევის შედეგებით. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მომდევნო ხუთი წლის პერსპექტივაში იკვეთება ინგლისურენოვანი ექთნების მიმართ მოთხოვნის მკვეთრი ზრდის ტენდენცია, რასაც ემატება ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ პერიოდში სფეროში დასაქმებულ პირთა 13% მიაღწევს საპენსიო ასაკს. საჭიროება ასევე დადასტურდა პარტნიორი კლინიკების მიერ გაცემული ოფიციალური წერილობითი შუამდგომლობებით. ამასთან, პროგრამის ინგლისურ ენაზე დანერგვა სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ხოლო მისი შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი წარიმართა კოლეჯში მოქმედი მეთოდოლოგიის დაცვით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დოკუმენტაცია, ადგილზე დაათვალიერა სასწავლო გარემო და შეაფასა მისი ადაპტირებულობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ჩატარდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან. ამასთან, შერჩევითი პრინციპით შემოწმდა ოთხი პარტნიორი პრაქტიკის ობიექტიდან სამი ორგანიზაცია – შპს „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი“, სამედიცინო ცენტრი „ღია გული“ და გუგა სიხარულიძის მენტალური ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი (ამ უკანასკნელთან კომუნიკაცია განხორციელდა სატელეფონო გასაუბრების გზით).

ექსპერტმა წარმოადგინა ავტორიზაციის მეორე სტანდარტის კომპონენტებთან პროგრამის შესაბამისობის მოკლე აღწერა: კომპონენტი 2.1 (პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება) და კომპონენტი 2.3 (პროგრამის შეფასება და განვითარება) შეფასდა როგორც „შესაბამისი“, ხოლო კომპონენტი 2.2 (პროგრამის განხორციელების რესურსი) და კომპონენტი 2.4 (სასწავლო პროცესი და სტუდენტის შეფასება) შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტის განმარტებით, ამ უკანასკნელ კომპონენტებში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, რაზედაც დაწესებულების მხრიდან განხორციელდა სათანადო რეაგირება და შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა, რის გამოც ჯგუფმა შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნული კომპონენტების მეტწილ შესაბამისობაში მიჩნევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მოხსენება განაგრძო ავტორიზაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის განხილვით.

პირველ რიგში, შორენა ალაგარდაშვილმა დეტალურად განმარტა აპლიკანტთა ჩარიცხვის წესთან დაკავშირებული გარემოება. კერძოდ, დასკვნის პროექტის მომზადების ეტაპზე დაფიქსირდა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მარეგულირებელი წესი ექსპერტებს დოკუმენტურად არ ჰქონდათ მიწოდებული, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა ვიზიტის მსვლელობისას ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს არაერთგზის იქნა მოთხოვნილი. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია მათი წინასწარი წერილობითი თანხმობისა და ავთენტურობის დადასტურების გარეშე მტკიცებულებად ვერ იქნებოდა გამოყენებული. თუმცა, დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხთან ერთად კოლეჯმა წარმოადგინა მოთხოვნილი წესი, რომლის დამტკიცების თარიღიც ადასტურებდა, რომ მექანიზმი ვიზიტამდეც მოქმედებდა და მისი თავდაპირველი წარმოუდგენლობა ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა. ვინაიდან დოკუმენტი სრულად

აწესრიგებს ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებსა და ალტერნატიულ გზებს, 2.1 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში.
მატერიალური რესურსისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ნაწილში გამოვლინდა, რომ ოთხ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, მიუხედავად მათი შინაარსობრივი სისრულისა, არ იყო დოკუმენტურად განსაზღვრული სტუდენტთა მისაღები კვოტები. თუმცა, როგორც კოლეჯის ადმინისტრაციამ, ისე თავად კლინიკების ხელმძღვანელობამ გასაუბრებისას ზეპირსიტყვიერად დაადასტურეს მზადყოფნა და შესაძლებლობა 70 სტუდენტის მიღებაზე. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და უკვე განახლებული ხელშეკრულებები ორ კლინიკასთან, სადაც ასახულია ზღვრული რაოდენობები, ხოლო დარჩენილ ორ ობიექტთან ხელშეკრულებების კორექტირება გათვალისწინებულია უახლოეს პერიოდში, რის საფუძველზეც აღნიშნული კომპონენტი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად.
ადამიანური რესურსის კომპონენტში შემოწმდა 53 პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმე. დაწესებულების შიდა რეგულაციით განსაზღვრული ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (B2 ან C1 დონე) წარმოდგენილი ჰქონდა 21 პედაგოგს. დანარჩენ მასწავლებლებთან მიმართებით კოლეჯს ჩატარებული ჰქონდა შიდა გამოცდა, რომელშიც B2 დონე დაუფიქსირდა მხოლოდ 4 პირს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ფიქსირდებოდა B1 და A2 დონეები, რაც პრაქტიკის კომპონენტის მასწავლებელთათვის დადგენილ მოთხოვნასაც (B1 დონე) ჩამორჩებოდა. არგუმენტირებულ პასუხთან ერთად დაწესებულებამ წარადგინა შიდა საგამოცდო ინსტრუმენტი და მისი ვალიდაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე გაწერა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც მოწვეული სპეციალისტის მეშვეობით 4 თვის განმავლობაში ჩატარდება ინტენსიური ენობრივი გადამზადების კურსი, რის გამოც ინდიკატორი დარჩა მეტწილ შესაბამისობაში.
ბიბლიოთეკის რესურსის შესწავლისას დაფიქსირდა, რომ მოდულისთვის „უცხო ენა საექთნო საქმეში“, რომლის ფარგლებშიც არჩეულია გერმანული ენა, ფონდში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. დაწესებულება დაეთანხმა შენიშვნას და შესაბამისობის გეგმით აიღო ვალდებულება, რომ სამი თვის ვადაში ბიბლიოთეკას შეავსებს შესაბამისი გერმანულენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.
უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნაწილში აღინიშნა, რომ სამედიცინო ნარჩენების მართვა მოწესრიგებულია შესაბამის გარე ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივი უსაფრთხოების წესები თვალსაჩინოების სახით განთავსებული იყო შესაბამის სასწავლო გარემოში (C გარემო), დაწესებულებას დოკუმენტურად დამტკიცებული წესი არ ჰქონდა წარმოდგენილი. კოლეჯმა აღნიშნული ხარვეზი გაიზიარა და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა სამთვიანი ვადა დოკუმენტის ოფიციალურად დასამტკიცებლად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ გამოვლენილ ხუთ ხარვეზთან მიმართებით გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც უნდა განხორციელდეს შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ზოგადი განმავითარებელი რეკომენდაცია, რათა დაწესებულებამ უზრუნველყოს მტკიცებულებებისა და დოკუმენტაციის დროული და სრულყოფილი წარდგენა ვიზიტის მიმდინარეობისას შეფასების პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ფოტომასალა და ინფორმაცია მატერიალური ინფრასტრუქტურის შესახებ: კოლეჯს გააჩნია ოთხი A ტიპის სასწავლო აუდიტორია, ერთი კომბინირებული A და C ტიპის სივრცე, B ტიპის კომპიუტერული გარემო 25 სამუშაო ადგილით და C ტიპის პრაქტიკული გარემო, სადაც მეცადინეობები როტაციის პრინციპით წარიმართება და სრულად უზრუნველყოფს 70 სტუდენტის გამტარუნარიანობას. ასევე წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკისა და პარტნიორი კლინიკების სასწავლო სივრცეების ვიზუალური მასალა, რაც ადასტურებს პრაქტიკის ობიექტების სრულ მზადყოფნასა და აქტიურ ჩართულობას პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და დაინტერესდა, რამდენად წარმოადგენს გამოვლენილი ხარვეზები რეალურ რისკს პროგრამის დაწყებამდე, რამდენად რეალისტური და შესრულებადია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი 3-4-თვიანი ვადები და ხომ არ არსებობდა შესაძლებლობა, რომ აღნიშნული საკითხები დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტამდე მოეგვარებინა.
შეკითხვის საპასუხოდ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ალაგარდაშვილმა, განმარტა, რომ პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებული ხარვეზი ფორმალური ხასიათის იყო, რადგან ხელშეკრულებებში კვოტის არარსებობის მიუხედავად, ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა კლინიკების რეალური გამტარუნარიანობა და მზადყოფნა 70 სტუდენტის მისაღებად, რის გამოც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას რეალურად სამი თვეც არ სჭირდება. უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს, რომელიც წლებია ახორციელებს ქართულენოვან პროგრამას, C გარემოში დარგობრივი უსაფრთხოების ნორმები ვიზუალურად სრულად ჰქონდა უზრუნველყოფილი და პრობლემა მხოლოდ დოკუმენტის სახით მის წარმოდგენას შეეხებოდა. ენობრივი კომპეტენციის ნაწილზე საუბრისას ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე 21 პედაგოგი სრულად ფარავს პროგრამის პირველ სასწავლო წელს გათვალისწინებულ თეორიულ მოდულებს, ხოლო პრაქტიკის კომპონენტი, რომელშიც მასწავლებლებს B1 დონე მოეთხოვებათ, სწავლების უფრო გვიან ეტაპზე იწყება, რაც ოთხთვიან ვადაში პერსონალის გადამზადებას სრულიად რეალისტურსა და შესაძლებელს ხდის. ბიბლიოთეკის ლიტერატურის განახლება კი, მომხსენებლის აზრით, მოკლე დროში გადაჭრადი ტექნიკური საკითხია. საბჭოს მდივანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საკმარისი დრო ამ საკითხების ვიზიტამდე მოსაწესრიგებლად.
დაწესებულების იურისტმა, ნინო გიორგაძემ, დეტალურად განმარტა თითოეულ ხარვეზთან დაკავშირებული გარემოებები. ჩარიცხვის წესზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა კომუნიკაციურ გაუგებრობას: დაწესებულებას მიაჩნდა, რომ ექსპერტები იცნობდნენ ვებგვერდზე განთავსებულ წესს და ითხოვდნენ დამატებით განმარტებებს, ხოლო დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ გაირკვა, რომ ექსპერტები სათანადოდ დარეგისტრირებულ და დამტკიცებულ კონკრეტულ სამართლებრივ აქტს საჭიროებდნენ, რაც კოლეჯმა არგუმენტირებულ პასუხთან ერთად დაუყოვნებლივ წარადგინა.
პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების ნაწილში ნინო გიორგაძემ დაადასტურა, რომ ქართულენოვან პროგრამასთან შედარებით ინგლისურენოვან ხელშეკრულებებში კვოტების ასახვა ტექნიკურად გამორჩათ, თუმცა დასკვნის პროექტის მიღებამდე ორ კლინიკასთან დოკუმენტაცია უკვე დაკორექტირდა, ხოლო დანარჩენ ორ პარტნიორთან განახლებული ხელშეკრულებები უახლოეს დღეებში გაფორმდება. ბიბლიოთეკის რესურსთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გერმანულენოვანი დარგობრივი ლიტერატურა უკვე შერჩეულია პედაგოგის მიერ და განთავსებულია ბიბლიოთეკაში. უსაფრთხოების წესების თაობაზე წარმომადგენელმა განმარტა, რომ C გარემოში განთავსებული თვალსაჩინოებები პირველადი და გადაუდებელი უსაფრთხოების ნორმების მოქმედი დოკუმენტის დანართებიდან იყო ამოღებული; დაწესებულებამ გააერთიანა და რევიზია გაუკეთა აღნიშნულ რეგულაციას, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები ინსტრუქტაჟის წესისა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის ნაწილში, რაც სამ თვეზე ბევრად სწრაფად დასრულდება.
პერსონალის ენობრივი კომპეტენციის საკითხზე საუბრისას კოლეჯის იურისტმა ნინო გიორგაძე ხაზი გაუსვა, რომ შრომის ბაზარზე ინგლისურენოვანი პრაქტიკოსი ექთნების მწვავე დეფიციტია. დაწესებულებას ვიზიტის დროსაც ჰქონდა მომზადებული ადაპტირებული ტესტი და მისი დარგობრივი ვალიდაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა ექსპერტებისთვის ეს მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი. ნინო გიორგაძე განაცხადა, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტები პრაქტიკის ობიექტებზე სწავლებას

იწყებენ დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ, რაც იძლევა სრულ შესაძლებლობას, რომ დამფუძნებლისა და პარტნიორი კლინიკების ფინანსური თანამონაწილეობით განხორციელდეს პრაქტიკოსი ექთნების ენობრივი კომპეტენციის ამაღლება. მან ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო-მეთოდური რესურსი უკვე სრულად მომზადებულია და სექტემბრის ბოლო კვირიდან დაიწყება იმ პედაგოგთა ინტენსიური გადამზადების პროცესი, რომელთაც შიდა გამოცდით B1 დონე დაუდასტურდათ. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლეჯს რაიმე დოკუმენტაციის დამალვის ან შეგნებულად არწარდგენის განზრახვა არ ჰქონია და გამოთქვა მზადყოფნა საბჭოს წევრთა დამატებით შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.
საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, ყურადღება გაამახვილა დაწესებულების შიდა შეფასების სისტემასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე. მან აღნიშნა, რომ პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნები თავად კოლეჯის შიდა დოკუმენტით იყო გაწერილი, თუმცა რეალობაში დაწესებულება საკუთარ სტანდარტსაც ვერ აკმაყოფილებდა, რადგან 53 მასწავლებლიდან უმრავლესობის კომპეტენცია სათანადოდ არ იყო დადასტურებული. ნათია ბუთხუზის განცხადებით, ანალოგიური ვითარება გამოიკვეთა რესურსებით უზრუნველყოფისა და ხელშეკრულებებში კვოტების ასახვის მიმართულებითაც.
აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე შორენა ალაგარდაშვილი, რომელმაც განმარტა, რომ ზოგადი განმავითარებელი რეკომენდაციის გაცემა სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა. ექსპერტის თქმით, ვიზიტისას დაწესებულებას ინგლისური ენის შიდა გამოცდის ნაწილში წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ საგამოცდო ქულების უწყისი და არა ვალიდაციის სრულყოფილი დოკუმენტაცია. ამასთან, ექსპერტმა დააზუსტა, რომ კოლეჯი ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნაზე უკვე ორ წელზე მეტია მუშაობს, მათ შორის მოდულების თარგმნისა და ადაპტირების მიმართულებით, რაც მოცულობით შრომას წარმოადგენს, თუმცა დოკუმენტაციის ეტაპობრივი და დროული მიწოდების კუთხით კომუნიკაციური ხარვეზები ნამდვილად დაფიქსირდა.
კოლეჯის იურისტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩარიცხვის წესთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა გაუგებრობას და დაწესებულებას ექსპერტებისთვის რაიმე დოკუმენტის დამალვის განზრახვა არ ჰქონია. პედაგოგთა ენობრივი კომპეტენციის შეფასების საკითხზე მან განმარტა, რომ ექიმებისა და პრაქტიკოსი მედპერსონალის გადატვირთული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, მათ საერთაშორისო სერტიფიცირებისთვის დრო არ გააჩნდათ, რის გამოც ოპტიმალურ გამოსავლად მიჩნეულ იქნა შიდა ადაპტირებული ტესტირება. იურისტმა აღნიშნა, რომ თუკი საბჭო აღნიშნულ ტესტირებასა და მის ვალიდაციას არასაკმარისად მიიჩნევს, დაწესებულება აღიარებს ამ კომპეტენციის დაუდასტურებლობას, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ პროცესის დაწყების გარეშე ქვეყანაში ინგლისურენოვანი ექთნების დეფიციტი ვერ აღმოიფხვრება.
საბჭოს წევრი გოჩა გოგიტიძე დაინტერესდა პერსონალთან წინარე ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკის, უსაფრთხოების მართვისა და სამედიცინო ნარჩენების გატანის დოკუმენტური აღრიცხვის თაობაზე. ასევე, საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა პრაქტიკის ობიექტების ფოტომასალაზე და დაინტერესდა, რამდენად მოიცავდა ვიზიტი რეალურ კლინიკურ გარემოსა და აღჭურვილობის დათვალიერებას, თუ შემოწმდა მხოლოდ თეორიული (A ტიპის) სასწავლო აუდიტორიები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნი9შნა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე ვიზუალურ გადაღებასთან დაკავშირებით მოქმედებდა კლინიკის შიდა შეზღუდვები, რის გამოც ფოტოები გადაღებულ იქნა მხოლოდ ნებადართულ სივრცეებში, თუმცა ექსპერტებმა ადგილზე სრულად დაათვალიერეს და შეამოწმეს კლინიკური ინვენტარი, სიმულაციური აღჭურვილობა და შესაბამისი სამედიცინო განყოფილებები.
საბჭოს წევრმა გოჩა გოგიტიძემ დააზუსტა, თუ როგორ წარიმართება სწავლება პრაქტიკის ობიექტებზე – მიავლენს თუ არა კოლეჯი საკუთარ ინგლისურენოვან ინსტრუქტორს, თუ უშუალოდ კლინიკის პერსონალს ევალება სტუდენტებთან მუშაობა, რაზედაც არსებობს ენობრივი ბარიერის სერიოზული რისკი, განსაკუთრებით დარგობრივი ტერმინოლოგიის

გამოყენებისას. მან ასევე იკითხა, თუ რა წარმოადგენს პროგრამის ძირითად მიზანს – ადგილობრივი ბაზრის უზრუნველყოფა თუ კადრების საზღვარგარეთ გადინება.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ კოლეჯი გარედან ინსტრუქტორს არ აგზავნის და სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტზე ხვდება თავად კლინიკის მოქმედი ექთანი, რაც დარგობრივი სტანდარტის იმპერატიული მოთხოვნაა. იურისტის განმარტებით, პრაქტიკის კომპონენტი საწყის ეტაპზე სადამკვირვებლო ხასიათისაა, სადაც მანიპულაციების ახსნა-განმარტებისა და ინსტრუქტაჟისთვის B1 დონე სავსებით საკმარისია, ხოლო დარგობრივი ტერმინოლოგიის დასაძლევად შემუშავებულია სპეციალური მოდულური კურსი, რომლითაც პრაქტიკის მასწავლებელთა გადამზადება უახლოეს პერიოდში დაიწყება.
პროგრამის მიზნობრიობასთან დაკავშირებით დაწესებულების იურისტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინიციატივის მთავარი დანიშნულებაა კვალიფიციური კადრების ადგილობრივ ბაზარზე შენარჩუნება. მან მიუთითა, რომ პარტნიორი ორგანიზაციები – მათ შორის JCI საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი“, „ევექსის“ ქსელი და „ვივამედის“ ჯგუფი – აქტიურად ავითარებენ სამედიცინო ტურიზმის მიმართულებას. თუკი ექიმების დონეზე უცხო ენის ბარიერი მეტ-ნაკლებად მოხსნილია, ექთნების ნაწილში სისტემაში მწვავე დეფიციტია. შესაბამისად, ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულები გაზრდიან ადგილობრივი ჯანდაცვის სექტორის კონკურენტუნარიანობას და უპასუხებენ ქვეყნის ეკონომიკურ და დარგობრივ სტრატეგიულ გამოწვევებს.
საკითხის განხილვა გაგრძელდა პრაქტიკის ობიექტების საჭიროებებისა და ადამიანური რესურსის ენობრივი კომპეტენციის შეფასების გარშემო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ალაგარდაშვილმა, საბჭოს წევრ გოჩა გოგიტიძეს დამატებით განუმარტა, რომ ერთ-ერთ პრაქტიკის ობიექტზე – კარდიოქირურგიულ კლინიკა „ღია გულში“ – ვიზიტისა და კლინიკის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებისას მკაფიოდ დაფიქსირდა ქვეყანაში ტურიზმისა და სამედიცინო სერვისების განვითარების ფონზე ინგლისურენოვანი საექთნო პერსონალის მზარდი მოთხოვნა, რაც სამედიცინო დაწესებულებებს უბიძგებს მსგავსი კადრების მოძიებისა და მომზადებისკენ.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, შეკითხვით მიმართა დაწესებულებას და დაინტერესდა, რამდენად იყო შეფასებული რისკები იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ 4 თვეში ვერ მოხერხდებოდა პედაგოგთა ენობრივი კომპეტენციის B2 დონემდე გაუმჯობესება, განსაკუთრებით იმ პერსონალის ნაწილში, რომელთაც საწყის ეტაპზე A2 დონე უფიქსირდებოდათ, და ჰქონდა თუ არა კოლეჯს ალტერნატიული სამოქმედო გეგმა.
დაწესებულების იურისტმა განმარტა, რომ 4-თვიანი ვადა ოპტიმალურად განისაზღვრა პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, თუმცა აღიარა, რომ A2 დონის მქონე ყველა პირის B2 დონეზე აყვანა აღნიშნულ ვადაში შესაძლოა სრულად ვერ მოხერხდეს. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, პირველი წელიწად-ნახევრის (დაახლოებით 19 თვის) განმავლობაში მხოლოდ თეორიული სწავლება მიმდინარეობს, რომელსაც სრულად ფარავენ საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე პედაგოგები. შესაბამისად, კლინიკურ ბაზებზე სტუდენტთა შესვლამდე არსებული დროის რესურსი სრულად იძლევა შესაძლებლობას, რომ ეტაპობრივად მომზადდეს თითოეული მოდულისთვის საჭირო პრაქტიკის მასწავლებელი, ხოლო 4-თვიანი ვადა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობისთვის აუცილებელი პირველადი ბირთვის გადამზადებას.
აღნიშნულ საკითხზე დამატებითი განმარტება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ. მან აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმაში მითითებული 4-თვიანი ვადა რეალისტურად შეფასდა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ B2 და C1 დონის სერტიფიკატის მქონე 21 მასწავლებელი (რომელთა ნაწილი უნივერსიტეტის ინგლისურენოვან პროგრამებზეც ასწავლის) სრულად აკმაყოფილებს თეორიული მოდულების მოთხოვნებს. მისი განმარტებით, B1 დონის მქონე პირები მოაზრებულნი არიან თეორიული სწავლების ალტერნატიულ და დამხმარე კადრებად, ხოლო A2 დონის მქონე მასწავლებლები წარმოადგენენ პრაქტიკის ობიექტების პერსონალს,

რომელთაც კოლეჯის განაცხადით მხოლოდ B1 დონე მოეთხოვებათ, რაც დარგობრივი ექსპერტის პოზიციითაც სავსებით საკმარისია პრაქტიკული ინსტრუქტაჟისთვის და ოთხთვიანი ინტენსიური სწავლებით სრულიად დაძლევადია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ხაზი გაუსვეს, რომ ენის შესწავლა ინდივიდუალური პროცესია და დარგობრივი ექსპერტის სხდომაზე დაუსწრებლობა ართულებს სპეციფიკური საკითხების სიღრმისეულ შეფასებას.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კითხვები დაუსვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესა და დაწესებულებას პროცედურულ ვადებთან და შესაბამისობის გეგმის დამტკიცების თარიღებთან დაკავშირებით. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საექსპერტო ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 ივლისს, დასკვნის პროექტი კოლეჯს გაეგზავნა 18 აგვისტოს, ხოლო შესაბამისობის გეგმა დაწესებულებამ 2 სექტემბრის ბრძანებით დაამტკიცა, სადაც რიგი აქტივობების დაწყების თარიღად 1-ლი აგვისტო იყო მითითებული. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნული გარემოება დროში აცდენად და პროცედურულ წინააღმდეგობად შეაფასა, რამაც ეჭვქვეშ დააყენა გეგმის რეალისტურობა, ასევე მიუთითა გეგმაში ვადების არითმეტიკულ უზუსტობაზე (სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდის სამ თვედ მითითებაზე).
აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აქტივობები განგრძობადი ხასიათისაა, მათი დაწყება ვიზიტისას გამოკვეთილი მიგნებების შემდეგ სავსებით ლოგიკურია და დასრულების თარიღები დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს, რის გამოც ცენტრი წინააღმდეგობას ვერ ხედავს. კოლეჯის იურისტმა დააზუსტა, რომ 1-ლი აგვისტო ეხებოდა მხოლოდ დარგობრივი უსაფრთხოების წესის რევიზირების მიმდინარე პროცესს, ხოლო დანარჩენი აქტივობების დაწყების თარიღად 1-ლი სექტემბერი იყო განსაზღვრული, რაც შეეხება ვადის მითითებას, ადგილი ჰქონდა მექანიკურ შეცდომას.
საბჭოს თავმჯდომარემ პროცესში დაშვებული ტექნიკური და კომუნიკაციური ხარვეზების სიმრავლესთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვა და ძირითად, კრიტიკულ რისკად კვლავ პერსონალის ენობრივი კომპეტენცია დაასახელა. მან აღნიშნა, რომ 53 მასწავლებლიდან ნახევარზე მეტს არ უდასტურდება სწავლების ენის სათანადო ფლობა, რაც პროგრამის დამატების ეტაპზე სწავლის შედეგების მიღწევის სერიოზულ რისკს ქმნის. თავმჯდომარემ კოლეჯის წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით, თუ რატომ გაფორმდა წინარე ხელშეკრულებები იმ პირებთან, ვინც ვერ აკმაყოფილებდა ენობრივ მოთხოვნებს, რამდენად მდგრადია 70 სტუდენტის მიღება მხოლოდ 21 კვალიფიციური პედაგოგის პირობებში და რატომ არ მოხდა სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შემცირება არსებული რესურსის შესაბამისად, შემდგომში კვოტის ეტაპობრივი გაზრდის პერსპექტივით.
დაწესებულების იურისტმა განმარტა, რომ წინარე ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველი გახდა კოლეჯის მიერ ჩატარებული შიდა ტესტირების შედეგები, რომელიც დაწესებულებამ საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია. მან განაცხადა, რომ 21 პედაგოგი, რომელთაც B2 და C1 დონე უდასტურდებათ, ფლობენ დიპლომირებული მედიკოსის (MD) კვალიფიკაციას, უმრავლესობას დასრულებული აქვს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და გააჩნია საექთნო პრაქტიკის გამოცდილება. იურისტის განმარტებით, 70 სტუდენტი წარმოადგენს დაახლოებით 4 ჯგუფს და აღნიშნული 21 სპეციალისტი როტაციის პრინციპით სრულად და შეუფერხებლად ფარავს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა თეორიულ მოდულს. მისი თქმით, 53 მასწავლებლისგან შემდგარი რესურსი დაწესებულების გათვლებით სავსებით საკმარისი იყო მოთხოვნილი კონტინგენტისთვის, ხოლო განაცხადში მითითებული სტუდენტთა ზღვრული ოდენობა სრულად შეესაბამებოდა კოლეჯის ინფრასტრუქტურულ, მატერიალურ და ადამიანურ შესაძლებლობებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, შეაჯამა საკითხის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებები. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს ქართულენოვანი პროგრამის განხორციელების წარმატებული გამოცდილება გააჩნია, ინგლისურენოვანი პროგრამის დამატებისას უმთავრეს ფაქტორს ადამიანური რესურსი წარმოადგენს. თავმჯდომარის განცხადებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და დოკუმენტური ხარვეზების აღმოფხვრა

მოკლე დროში შესაძლებელია, თუმცა პედაგოგთა ნახევარზე მეტის მხრიდან ენობრივი კომპეტენციის შესაძლო დაძლევის მოლოდინი სასწავლო პროცესის ხარისხსა და სწავლის შედეგების მიღწევას სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს.
აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს შესთავაზა წინადადება: ვინაიდან კოლეჯს ამ ეტაპზე ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის (ინგლისური ენის B2 და C1 დონის ფლობის მქონე 21–25 კვალიფიციური პედაგოგი და მოწესრიგებული აქვს ურთიერთობა ორ კლინიკურ ბაზასთან, არსებული რესურსი სავსებით საკმარისია სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე დასაწყებად არა 70, არამედ შემცირებული კონტინგენტისთვის. თავმჯდომარის ინიციატივით, პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი 70-დან შემცირდეს 35-მდე, რაც არსებულ პერსონალს ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესაძლებლობას მისცემს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 35-მდე შემცირების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული წინადადება – სტუდენტთა ზღვრული ოდენობის 35-ით განსაზღვრის შესახებ. საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი „საექთნო კოლეჯისთვის“ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯს (ს/კ: 402022609) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 11 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში“ 2.2 კომპონენტში და 2.4 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენა. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2027 წლის 11 იანვარი.

მეორე საკითხი: სსიპ – კასპის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს. მან საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომელიც მომზადდა დარგობრივ ექსპერტ ირმა ღარიბაშვილთან ერთად, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, დაწესებულებაში 2026 წლის 24 ივლისს განხორციელებული საექსპერტო ვიზიტის შედეგად. ექსპერტმა განმარტა, რომ შეფასების მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით, რა დროსაც დეტალურად შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, აგრეთვე ჩატარდა ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან.
ექსპერტმა მიმოიხილა საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრები, რომლის მიხედვითაც პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს (სწავლის სფერო – 0715) და ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას შედუღებაში. სწავლების ენა არის ქართული, ხოლო განხორციელების ადგილად განსაზღვრულია ქალაქი კასპი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №178, სადაც სწავლება დაგეგმილია იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამის მოცულობა

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 87 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 117 კრედიტს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 30 ადგილით, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა. პროგრამა დამტკიცებულია საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი სამართლებრივი აქტით. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა, სტანდარტის 2.1, 2.3 და 2.4 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისი“, ხოლო 2.2 კომპონენტი – როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების შეფასებისას აღინიშნა, რომ პროგრამა სრულ თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანთან, რაც რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებას გულისხმობს. პროგრამის შემუშავებისას კოლეჯმა იხელმძღვანელა უნარების სააგენტოს შრომის ბაზრის კვლევით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ანგარიშით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით და 2026 წლის ადგილობრივი კვლევით, რომელმაც დაადასტურა კვალიფიციურ შემდუღებლებზე გრძელვადიანი და სტაბილური მოთხოვნა მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია პროგრამასთან, ხოლო პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს.

პროგრამის განხორციელების რესურსებთან მიმართებით (2.2 კომპონენტი) ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილია სამი გარემო: A გარემო – თეორიული სწავლების აუდიტორია 15 სტუდენტზე გათვლილი სამუშაო ადგილით, პედაგოგის სამუშაო სივრცით, კომპიუტერებითა და დაფით; B გარემო – კომპიუტერული ლაბორატორია 15 სტუდენტზე; C გარემო – პრაქტიკული სწავლების სახელოსნო. ექსპერტთა ჯგუფის განმარტებით, ადგილზე ვიზიტის პერიოდში სახელოსნო მეტწილად იყო აღჭურვილი, თუმცა ადგილზე წარმოდგენილი არ იყო ხუთი დასახელების სპეციალიზებული აღჭურვილობა, რის გამოც კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, ხოლო შემდგომ, დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის ეტაპზე, დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები აღნიშნული ხუთივე ერთეულის შეძენის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ვიზიტის დროს არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ექსპერტთა პირველადი შეფასების სტატუსი დარჩა უცვლელი.

ადამიანური რესურსის კომპონენტზე საუბრისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამას ემსახურება 23 მასწავლებელი, რომელთაგან 7 ახორციელებს დარგობრივ მოდულებს. პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო ჯგუფის რენტაბელობის ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 10 სტუდენტით. წარმოდგენილია პროგრამის შესაბამისი ბიუჯეტი. პირადი საქმეების შესწავლითა და ინტერვიუებით დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამისი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება. ექსპერტის ინფორმაციით, 2.3 და 2.4 კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; კერძოდ, შემოწმდა და დადებითად შეფასდა ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცედურები, შეფასების სისტემა, ბიბლიოთეკის რესურსი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის გათვალისწინებული გარემო, აგრეთვე სახელოსნოში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე დაინტერესდა C გარემოს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობით. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ასახვისა, დაწესებულების მიერ

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი №5801 და №5802 მიღება-ჩაბარების აქტების გათვალისწინებით, რამდენად სრულად იყო შეძენილი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარი და იძლეოდა თუ არა აღნიშნული მტკიცებულებები 2.2 კომპონენტის შეფასების „შესაბამისზე“ შეცვლის საფუძველს.
ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ქიტიაშვილმა და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა განმარტეს, რომ დაწესებულების მხრიდან ყველა საჭირო აღჭურვილობა შესყიდულია და წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა შეფასება „მეტწილად შესაბამისი“ შენარჩუნდა იმ გარემოების გამო, რომ აღნიშნული ინვენტარი მოითხოვს ადგილზე სათანადო სივრცის გამოყოფას, ინსტალაციასა და გამართვას, რაც ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ განხორციელდა და საჭიროებს ადგილზე დამატებით შემოწმებას.
დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ კოლეჯში შედუღების კაბინები და გამწოვი სისტემები სრულად დამონტაჟებულია, დაწესებულება 2021 წლიდან წარმატებით ახორციელებდა შედუღების მესამე დონის პროგრამას. მისი თქმით, შეძენილი ხუთი ერთეული ტექნიკიდან ულტრაბგერითი და ე.წ. „სოლიდ“ შედუღების აპარატები წარმოადგენს პორტაბელურ მოწყობილობებს, რომლებიც ინახება საცავში და გამოიყენება კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას. რაც შეეხება აცეტილენის გენერატორს, მისი მოწოდება დაკავშირებული იყო საერთაშორისო ლოგისტიკურ სირთულეებთან, რის გამოც შესაბამისობის გეგმით საბოლოო ვადად განსაზღვრული იყო 2026 წლის 14 დეკემბერი, თუმცა კოლეჯმა შეძლო ინვენტარის დროულად შესყიდვა და ადგილზე მობილიზება. წარმომადგენელმა დასძინა, რომ აღნიშნული აღჭურვილობის გამართვას უზრუნველყოფს დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მოწვეული პედაგოგი, ამასთან, შესაბამისი მოდული არჩევითია და გათვალისწინებულია სასწავლო გეგმის შემდგომ ეტაპზე.
საბჭოს თავმჯდომარემ დამატებითი კითხვით მიმართა ექსპერტებს პროგრამის შრომის ბაზრის კვლევით დასაბუთების თაობაზე. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აქცენტი გაკეთებული იყო ქალაქ თბილისის მრეწველობის ბრუნვისა და დასაქმების მონაცემებზე, მაშინ როდესაც პროგრამის განხორციელების ადგილია ქალაქი კასპი, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დასაბუთება ასახავდეს უშუალოდ შიდა ქართლის რეგიონისა და მუნიციპალიტეტის რეალურ მოთხოვნას. ექსპერტებმა განმარტეს, რომ დასკვნა დაეფუძნა კოლეჯის მიერ ჩატარებულ ადგილობრივ კვლევას და გათვალისწინებულ იქნა კასპის გეოგრაფიული სიახლოვე დედაქალაქთან, რაზეც თავმჯდომარემ მიუთითა, რომ მომავალში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უშუალოდ ადგილობრივი რეგიონული ბაზრის საჭიროებების სიღრმისეულ დასაბუთებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე მსჯელობის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – კასპის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – კასპის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,

შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – კასპის კოლეჯს (ს/კ: 205405480) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ **(დანართი 4).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 11 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ – კასპის კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“, 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 2 ნოემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	105

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	68
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	98

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

პროგრამის სახელწოდება	სარესტორნო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	110

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61 ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური - ინტეგრირებული/არაინტეგრირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	140
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	170
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	110

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა-მეჩაიეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის N112
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის N112
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი, რუსთაველის N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის 15ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი აკ.წერეთლის გამზირი N121
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	35
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	კასპი. დ. აღმაშენებლის ქუჩა N178
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117